ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2021 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. **ხარისხის გარე შეფასებებში მონაწილეობა (აკრედიტაცია) და ამ კუთხით განხორციელებული აქტივობების შეფასება**

   თსუ მედიცინის ფაკულტეტზე 2021 წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით მედიცინის ერთსაფეხურიანმა პროგრამებმა გაიარეს **პროგრამული აკრედიტაცია და მიიღეს აკრედიტაცია სრული შესაბამისობით:**

- **მედიცინა** https://eqe.ge/ka/decisions/11805/show
- **მედიცინა (ინგლისურენოვანი)** https://eqe.ge/ka/decisions/11806/show

ინგლისურენოვანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა განახლდა კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და გაიგზავნა ხარიხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა **ინგლისურენოვანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის შეფასების** მიზნით, მიღებული იქნა დასკვნა, მომზადდა პასუხი დასკვნაზე.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით მიმდინარეობს **ერთი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის** (სტომატოლოგია) სააკრედიტაციოდ მომზადება. ტარდება შეხვედრები და ტრენინგები აკადემიურ პერსონალთან.

მონაწილეობას ვღებულობ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში, რაც დაკავშირებულია თსუ-ს **ინსტიტუციურ შეფასებასთან ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების პროგრამის (EUA's IEP)** მიერ.

მონაწილეობა მივიღე როგორც სამუშაო ჯგუფის წევრმა **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმების ჯგუფის** (ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ჩასაბარებელი საგნების განსაზღვრა) სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.

მონაწილეობა მივიღე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **ავტორიზაციის 3 წლიანი ანგარიშის შეფასებაში.**

მონაწილეობა მივიღეთ განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან დაკავშირებით დაგეგმილ **საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის** განხილვაში.

მონაწილეობა მივიღეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის პროექტის განხილვაში.

2. შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილეობა და ამ კუთხით განხორციელებული აქტივობების შეფასება

მონაწილეობა მივიღეთ **ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის,** და **ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის,** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების და **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხილვაში.

მონაწილეობა მივიღეთ სადოქტორო განათლების ჩარჩო დოკუმენტის პროექტის განხილვაში.

მონაწილეობა მივიღეთ ერთიანი ეროვნული გამოცდები 2022 - პროგრამების საორიენტაციო ჩამონათვალის მომზადებაში, და ანკეტა-კითხვარის მომზადებაში.

მონაწილეობა მივიღეთ მედიცინის პროგრამების აღწერილობების მომზადებაში 2021-2022 წლის კატალოგისთვის.

მონაწილეობა მივიღეთ საკვალიფიკაციო ნაშრომებში პლაგიარიზმის დასადგენად Turnitin-ის გამოყენებასთან დაკავშირებული აქტივობების დამუშავებაში.

3. უნივერსიტეტში სწავლის, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა

მონაწილეობა მივიღეთ საუნივერსიტეტო კითხვარების განახლებული ვერსიების მომზადებაში.

განხორციელდა სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში გატარებით მიღებული შედეგების ანალიზი და გამოთხოვნილი იქნა დეტალური ინფორმაცია რაოდენობრივი მაჩვენებლების ხარისხობრივ მაჩვენებლებში გადაყვანის მიზნით.

პროფესიული შესაძლებლობების განვითარებაში მონაწილეობის მიზნით მონაწილეობა მივიღეთ AMEE-ს ტრეინინგებში **(2)** და მოვიპოვეთ როგორც ლოკალური, ისე სპეციალური გამოცდის ჩატარების შემდეგ სამედიცინო განათლებაში საერთაშორისო სერტიფიკატი.

მონაწილეობა მივიღეთ კონფერენციაში ,,უნივერსიტეტის დანიშნულება და ინსტიტუციური ავტონომია: გამოწვევები და მათი გავლენა საქართველოზე'' 29-30 ოქტომბერი, 2021 წელი.

მონაწილეობა მივიღეთ თემატური ჯგუფის შეხვედრაში კლასტერული აკრედიტაციის თვითშეფასების ფორმის განსახილველად.

მონაწილეობა მივიღეთ თემატური ჯგუფის შეხვედრაში კლასტერული აკრედიტაციის პილოტირების განსახილველად.

4. **საერთაშორისო თანამშრომლობა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა**

განხორციელდა სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერა, კერძოდ **3 სტუდენტი 1 სემესტრით იმყოფებოდა 1 კვირით** ტრომსოს უნივერსიტეტში, ხოლო **6 სტუდენტმა დისტანციურად გაიარეს კურსები აიოვას უნივერსიტეტში (აშშ) და ნანეშ=ბოლიაი უნივერსიტეტში (რუმინეთი).**

ვამზადებთ **6 სტუდენტის** დოკუმენტაციას რუმინეთში ვირტუალურად სასწავლო კურსების გასავლელად.

მონაწილეობა მივიღეთ **ტრომსოს უნივერსიტეტის (ნორვეგია)** წარმომადგენლების ვიზიტის ორგანიზებაში.

მონაწილეობა მივიღეთ **გიოტენბერგის უნივერსიტეტის (შვედეთი)** წარმომადგენლის ვიზიტის ორგანიზებაში, რომელიც ეწვევა თსუ-ს 2022 წლის 3 იანვარი-6 იანვრის განმავლობაში.

მონაწილეობა მივიღეთ **ბრიტანეთის საბჭოს** მიერ დაფინანსებული პროექტის **arCc ვებინარში.**

მონაწილეობას ვიღებთ ერაზმუს+ პროგრამისათვის **ახალი პროექტების** მომზადებაში.

5. **სამსახურის სხვა საქმიანობა**

სამსახურის კორესპოდენცია 2021 წლის განმავლობაში: მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ელექტრონული ბაზით შემოსული წერილების რაოდენობა: **157**-ნინო ჩიხლაძე და **38**-მაკა ჯორბენაძე.

შემოსული იქნა **55** საერთაშორისო სტუდენტის დოკუმენტაცია საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მედიცინა'' გავლილი საგნების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით. მათ შორის **35** მობილობით გადმოვიდა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე.

აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის დადგენილებების მომზადება- 2021-2022 სასწავლო წელს გამოცხადებულ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე (სულ 3) გამოსაცხადებელი სტუდენტების რაოდენობების და კომპეტენციების ზღვარის ანკეტა-კითხვარის მომზადებაში მონაწილეობა;

6. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების ხედვები

სამსახურის თვითშეფასება: სამსახურის მუშაობა ფასდება დადებითად.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოწვევებია: 1 პროგრამის აკრედიტაცია.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამომავლო პრიორიტეტები: სამედიცინო განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პუბლიკაციების მომზადება და გამოქვეყნება.